საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრს ბ-ნ მიხეილ ჩხენკელს

ღია წერილი

ცისანა სტურუა

ბატონო მინისტრო, მოგმართავთ დიდი მოკრძალებით და მობოდიშებით, ზედმეტი შეწუხებისთვის. გიგზავნით თელავის მე-4 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის, იგივე, უამრავი პედაგოგის სადამსჯელო ორგანოს მიერ გამოცემულ ოქმს N11 რამდენად დამაჯერებელი და რეალურია, ნორმალური ადამიანი, რა ზომამდე ნერვიული და აგრესიული, უნდა იყოს, ეს ქმედებები ჩაიდინოს 7 წლის ბავშვებთან, 48 წლის მანძილზე აღიარებულმა, უამრავი წოდებებისა და ჯილდოების მქონე პედაგოგმა, ეს თქვენს შეფასებაზე მომინდვია.
სად იყო ამ დროს სკოლის ორი მანდატური. ისე დააწერინა 14 და 19 ივნისს გიგიტელაშვილმა მშობლებს და ბავშვებს განცხადებები, ისე ჩაატარა დისციპლინური კომიტეტის სხდომა, ისე გამომაგდო სკოლიდან, რომ მანდატურამდე ამ ამბავს ჭორის დონემდეც, დღევანდლამდეც კი არ მიუღწევია. რამდენად შეიძლებოდა მომხდარიყო ეს.

სამაგიეროდ, თქვენს ღია წერილს, აქტიურად გამოეხმაურნენ ე.წ. დირექტორის, გიგიტელაშვილის მაამებლად, მისივე შეკვეთით და დავალდებულებითაც კი, განსაკუთრებით, ჩემს ასაკთან დაკავშირებით შეურაცხყოფილი და დამამცირებელი კომენტარებით მოემართათ ჩემთვის.

იმის გამო, რომ თქვენზე ზეგავლენა არ მოახდინოს ამ კომენტარებით, ამ მიზნით გიგზავნით სწორედ ასაკიანი პედაგოგობის პერიოდში, არც თუ დიდი ხნის წინ 20-ზე მეტ სტუმართან ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთუილის ანალიზს, სადაც ზღვაში წვეთიც კი არ არის. სტუმრების საერთო შეფასებით: „ IVკლასის მოსწავლეებმა ამდენი კი აღარ უნდა იცოდნენო“. გთხოვთ ამას ქებად ნუ ჩამითვლით. სწორედ ამ გაკვეთილის ჩატარების 3 თვის შემდეგ ჩამომართვა

მათემატიკის საათები და მომცა მხოლოდ და მხოლოდ სპორტის 2 საათი, ხოლო, დაწყებით კლასებში დანარჩენ პენსიონერ პედაგოგებს 18-20 საათი. ამითაც განსაჯეთ მისი დირექტორობა. მან არ იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა დისკრიმინაციის კანონი.

ბ-ნო მინისტრო, იმ დროს როცა ჩვენს ქვეყანას, მსოფლიოში საპატიო ადგილი ეკავა მოსწავლეთა ცოდნის დონით, მაშინ Iკლასში შემომსვლელი ბავშვების დედები, სკოლაში თხოულობდნენ ღვაწლმოსულ ხანდაზმულ პედაგოგებს.

დღესაც, ღირსეული დირექტორები ასეთ პედაგოგებს სანთლით ეძებენ დას უსაფუძვლოდ, უღირსად ქუჩაში არ ყრიან.

პატივცემულო მინისტრო, ძალიან დიდი თხოვნა მაქვს, თუნდაც 10 წუთი მიმიღოთ.

უღრმესი პატივისცემით

ცისანა სტურუა